დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემისა და მომსახურების ზოგადი წესები და პირობები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემისა და მომსახურების ზოგადი წესები და პირობები (შემდგომში - წესები და პირობები) წარმოადგენს დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემისა და მოხმარების ძირითადი რეგულაციების აღწერას.

2. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და შემდეგი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტებით:
ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკა“ (შემდგომში - პოლიტიკა), დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება სრულად შეესაბამება ევროპული სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (European Telecommunications Standards Institute, ETSI) მიერ EN 319 421 სტანდარტით განსაზღვრულ საბაზისო შინაგანაწესს (BTSP; ობიექტის იდენტიფიკატორი 0.4.0.02023.1.1), ხოლო დროის აღმნიშვნელი ერთეულის სერტიფიკატები გაიცემა შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული QCP-l (იდენტიფიკატორი 0.4.0.194112.1.1) პროფილის მიხედვით.
ბ) „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი“ (შემდგომში - შინაგანაწესი) (დოკუმენტის იდენტიფიკატორია 1.3.6.1.4.1.37733.10.1.2.3.2).
3. პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორია: 1.3.6.1.4.1.37733.10.5.1.1.0;
4. ამ მუხლში მითითებული ყველა დოკუმენტი ქვეყნდება მისამართზე: https://id.ge/pki.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტი იყენებს „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინებს. დამატებითი ტერმინები განმარტებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) დამტკიცებული სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესით.

მუხლი 3. სანდო მომსახურების მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია

1. ინფორმაცია სანდო მომსახურების მიმწოდებლის შესახებ: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (მისამართი: სანაპიროს ქ. N2, 0114, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 240 10 10; ელფოსტა - online@sda.gov.ge; ვებგვერდი - www.sda.gov.ge).

2. სერტიფიკატის გაუქმება შესაძლებელია განცხადების საფუძველზე სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის უშუალოდ ან დისტანციურად მიმართვის გზით, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულთან, დისტანციური მომსახურების სამსახურისთვის მიმართვის გზით - სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული განაცხადის წარდგენის გზით.

მუხლი 4. დოკუმენტის მართვა

1. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, დოკუმენტის მართვა გულისხმობს მის პერიოდულ (სულ მცირე, წელიწადში ერთხელ) განხილვას და, საჭიროების შემთხვევაში, მასში ცვლილების შეტანას.
2. წინამდებარე დოკუმენტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით მითითებულ ვებ-გვერდზე ქვეყნდება წესებისა და პირობების ყველა ცვლილების პროექტი, დოკუმენტში შესული ყველა ცვლილება და მათი შესაბამისი კოდიფიცირებული ვერსია.
3. მომსახურების ზოგად წესებსა და პირობებში ცვლილების შეტანამდე არაუგვიანეს 30 დღისა სანდო მომსახურების მიმწოდებელი აქვეყნებს ცვლილებების პროექტს. აღნიშნულ პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს საშუალება აქვთ, ცვლილებების პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები წერილობით მიაწოდონ სანდო მომსახურების მიმწოდებელს.
4. წინამდებარე დოკუმენტი კოდიფიცირებული ფორმით (ყველა ცვლილების ასახვით) ქვეყნდება ელექტრონული ფაილის სახით, PDF ფორმატში, რომელიც მოწმდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მუხლი 5. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების პირობები და მოთხოვნის წესი

1. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება, შეზღუდული წარმადობის პირობით, მუდმივად და უსასყიდლოდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის მისამართზე - http://tsa.cra.ge/signserver/tsa?workerName=qtsa - შემდეგი პირობებით:

ა) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურებაზე მიმართვა არ მოითხოვს მომხმარებლების ავთენტიფიკაციას;

ბ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება ხელმისაწვდომია RSA-2048 ტიპის გასაღებით;

გ) ერთი მომხმარებლის მიერ ხუთ წამში ერთზე მეტი მოთხოვნის გამოგზავნის შემთხვევაში, სააგენტო უფლებას იტოვებს, შეზღუდოს ან სხვაგვარად შეაფერხოს მომსახურების მიწოდება.2. იურიდიული პირისთვის დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება ხდება შემდეგი პირობებით:

ა) მისამართი - http://tsa.cra.ge/signserver/tsa?workerName=qtsa;

ბ) დროის აღნიშვნის მომსახურება ხელმისაწვდომია RSA-2048 ტიპის გასაღებით;

გ) ერთ წამში მინიმალური გარანტირებული წარმადობაა 1 მოთხოვნა;

დ) კალენდარული დღის განმავლობაში სხვადასხვა გარანტირებული წარმადობა შესაძლებელია შეირჩეს დღის არაუმეტეს 3 მონაკვეთში, რომელთა ჯამიც უნდა შეადგენდეს 24 საათს;

ე) მომსახურების პერიოდში, მომხმარებლის მიერ კალენდარული კვირის განმავლობაში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, შერჩეული თითოეული დღის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უნდა იყოს იდენტური, ხოლო შაბათსა და კვირას შესაძლებელია განსხვავებული კონფიგურაციით დღეების წარმადობების შერჩევა;

ვ) წინამდებარე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში შერჩეული კალენდარული კვირის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უცვლელი უნდა რჩებოდეს მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში;

ზ) მომსახურების ერთჯერადად მიღების მინიმალურ პერიოდს წარმოადგენს 30 კალენდარული დღე;

თ) დღის შერჩეული მონაკვეთის გარანტირებული წარმადობის მინიმალური პერიოდი შეადგენს 1 საათს;

ი) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების 1 წამში მაქსიმალური გარანტირებული წარმადობაა 100 მოთხოვნა;

კ) მომხმარებლის IP მისამართიდან;

ლ) მომსახურების პერიოდი განისაზღვრება გადახდილი თანხის ოდენობის შესაბამისად.

3. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება გარანტირებული წარმადობით განკუთვნილია მომხმარებლისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი მიზნით, მომხმარებლის შეხედულებისამებრ.

4. ამ მუხლით განსაზღვრული მომსახურების მიზნებისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარმოადგენს სააგენტოს ის სტრუქტურული ან/და ტერიტორიული ერთეული, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.

5. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიღების მიზნით მომხმარებელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

მუხლი 6. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება

მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით ხელმისაწვდომობის შესახებ.

მუხლი 7. სანდოობის საზღვრები

1. დროის კვალიფიციური აღმნიშვნელი თითოეული ერთეული დროის აღნიშვნის ტოკენს ხელს აწერს უნიკალური დახურული გასაღებით, რომელიც მხოლოდ ამ მიზნისთვის (დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოსაწერად) გამოიყენება. დროის კონკრეტულ მომენტში თითოეულ ერთეულზე აქტიურია მხოლოდ ერთი გასაღები.

2. დროის აღმნიშვნელი ერთეულის გასაღები და სერტიფიკატი იცვლება წელიწადში ერთხელ. დროის აღმნიშვნელი ერთეულის სერტიფიკატის მოქმედების ვადა შეადგენს 8 წელს. მოქმედი სერტიფიკატის გაცემის თარიღიდან 1 წლის განმავლობაში, არაუადრეს აღნიშნული ვადის ამოწურვამდე 21 დღისა, გენერირდება ახალი გასაღების წყვილი და მასზე გაიცემა სერტიფიკატი. დროის აღმნიშვნელი ერთეული დაუყოვნებლივ გადაირთვება ახალ სერტიფიკატზე/ახალ დახურულ გასაღებზე.

3. დროის კვალიფიციური აღნიშვნის საერთაშორისო კოორდინირებული დროიდან (UTC) დასაშვები გადახრა შეადგენს მაქსიმუმ 1 წამს. გაცემული დროის აღნიშვნის ტოკენები ინახება შესაბამის ჟურნალში სააგენტოში დამტკიცებული "ღია გასაღების ინფრასტრუქტურის მედიის (ინფორმაციის მატარებლის) მართვის პროცედურის" შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტოკენის სისწორის დადასტურება სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ.

4. დახურული გასაღები დაცულია არაავტორიზებული წვდომისგან. დახურული გასაღების სარეზერვო ასლის აღება ან მისი სხვაგვარად ექსპორტირება უსაფრთხოების აპარატურული მოდულიდან დაუშვებელია.

5. დროის აღნიშვნის მომსახურების ჩანაწერები ინახება სააგენტოში დამტკიცებული "ღია გასაღების ინფრასტრუქტურის კომპონენტების ხდომილებების მართვის პროცედურის" მიხედვით. ჩანაწერები ინახება დაცულ გარემოში და ექვემდებარება პერიოდულ არქივირებას. აღნიშნული ჩანაწერები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) დროის აღნიშვნის მოთხოვნებსა და შექმნილ დროის აღნიშვნის ტოკენებს;

ბ) დროის აღნიშვნის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხდომილებებს;

გ) დროის აღნიშვნის ერთეულის გასაღებებთან და სერტიფიკატებთან დაკავშირებულ ხდომილებებს.

6. დროის აღმნიშვნელი ორგანოს კომპრომეტირების შემთხვევაში, სერტიფიცირების ცენტრი დაუყოვნებლივ აუქმებს დროის აღმნიშვნელი ორგანოს სერტიფიკატს.

მუხლი 8. მომხმარებლის და წარმომადგენლის ვალდებულებები

მომხმარებელი/წარმომადგენლი, რომელიც სარგებლობს დროის კვალიფიციური აღნიშვნის გარანტირებული წარმადობით მიწოდების მომსახურებით, ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს შინაგანაწესით მოთხოვნილი სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიღებისათვის;

ბ) ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სანდო მომსახურების მიმწოდებელს.

მუხლი 9. კონტრაჰენტის ვალდებულება სერტიფიკატის სტატუსის გადამოწმების შესახებ

კონტრაჰენტი ვალდებულია, შეამოწმოს მიღებული დროის აღნიშვნის ტოკენი და გაეცნოს შესაბამისი სერტიფიკატის მოქმედი კანონმდებლობითა და შინაგანაწესით დადგენილ გამოყენების პირობებს.

მუხლი 10. კომპრომეტირება და ავარიული აღდგენა

1. სანდო მომსახურების მიმწოდებლის უსაფრთხო სისტემის კომპრომეტირების, ასევე ინფორმაციის დაზიანების ან მისი ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, ავარიული აღდგენა ხდება: „ღია გასაღების ინფრასტრუქტურის კომპონენტების ხდომილებების მართვის პროცედურის“, ,,მონაცემთა ბაზების და პროგრამული უზრუნველყოფის სარეზერვო ასლების შექმნის პროცედურის“, “ბიზნესის უწყვეტობის გეგმისა“ და „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცედურის“ შესაბამისად.

2. დროის აღნიშვნის მომსახურების, გაუქმებული სერტიფიკატების სიისა და სერტიფიკატის შემოწმების ავტომატური მომსახურების მიწოდება ხდება პარალელურად მონაცემთა დამუშავების ძირითადი და სარეზერვო ცენტრებიდან. ერთ-ერთი ცენტრის გამორთვის შემთხვევაში მომსახურება არ შეწყდება.

მუხლი 11. სააგენტოს მიერ სანდო მომსახურების შეწყვეტა

1. სააგენტო შექმნილია და მოქმედებს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ„ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც მას ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად უსაზღვრავს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და სანდო მომსახურების მიწოდებას საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით და „კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნას, გაცემასა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევას“. სააგენტოსთვის აღნიშნული ფუნქციის ჩამორთმევა შეუძლებელია საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნულ კანონში ცვლილების შეტანის გარეშე, რაც გულისხმობს აღნიშნული ცვლილების გამოქვეყნებასაც.

2. მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმით:

ა) თუ სააგენტოს ჩემოერთმევა აღნიშნული ფუნქცია და გადაეცემა სხვა პირს, გადაცემის წესები დარეგულირდება ამავე კანონით, ან მის საფუძველზე გამოცემული საკანონმდებლო აქტით. თუ აღნიშნული აქტით სხვა რამ არ იქნება მითითებული, სააგენტო:

ა.ა) გაანადგურებს დროის აღმნიშვნელი ერთეულების გასაღებებს და შეწყვეტს მომსახურებას შესაბამისი შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვით;

ა.ბ) გადასცემს სერტიფიკატის სტატუსის შემოწმების მომსახურებას აღნიშნულ პირს;

ა.გ) გადასცემს ხდომილებათა ჟურნალს აღნიშნულ პირს.

ბ) თუ სააგენტოს აღნიშნული ფუნქცია ჩამოერთმევა ამ ფუნქციის სხვა პირისთვის გადაცემის გარეშე, სააგენტო შექმნის ამ შინაგანაწესის 88-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამის გაუქმებული სერტიფიკატების ბოლო სიებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის და დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების შესაბამისი ყველა სერტიფიკატისათვის, გაანადგურებს სანდო მომსახურების მიმწოდებლის უსაფრთხო სისტემების შესაბამის ყველა გასაღებს და მათ სარეზერვო ასლებს, ასევე, დროის აღმნიშვნელი ერთეულების გასაღებებს და შეწყვეტს ყოველგვარ მომსახურებას. ბოლო სიები გადაეცემა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს შეიძლება ასევე დროებით სარგებლობაში გადაეცეს უსაფრთხოების აპარატურული მოდულები, პროგრამული უზრუნველყოფა და ყველა ის მონაცემი, რომელიც აუცილებელია გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

3. დაინტერესებულ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ გაასაჩივრონ აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვონ მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დამდგარი შესაძლო ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუქნტის „ბ“ ქვეპუნქტით.

მუხლი 12. მომსახურების გაწევის ზოგადი რეგულაცია

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი მომსახურებას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდება ექვემდებარება პერიოდულ აუდიტს „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
3. დავები უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. სანდო მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებლებისა და კონტრაჰენტების მიმართ პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ პირდაპირი ზიანის მიყენების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. დაინტერესებული პირებისათვის ზიანის ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. კომერციულ საიდუმლოებასა და პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სანდო მომსახურების მიმწოდებელი სულ მცირე 7 წლის განმავლობაში ინახავს განაცხადის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას.
7. სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, არანაკლებ 15 წლის ვადით შეინახოს:
ა) პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
ბ) კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პროცედურების მიხედვით არსებული ჩანაწერები.